მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 13 საბავშვო ბაღი, რომლებშიც სკოლამდელ განათლებას იღებენ 1670 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ტეზერი, ბიჯნისი, ჩუმათელეთი, წაღვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია. დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით ხაშურში შუშის ქარხნის დასახლებაში №8 საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობა.

ბ. შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის უცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები.

ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები და კულტურული ღონისძიებები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე.

ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- 3 მარტს დედათა და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;
- 9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 72 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- 1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის “ღესიაობის” ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ლიტვაში, დამმობილებულ ქალაქ რადვილინსკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- ბელორუსიაში, დამმობილებულ ქალაქ გორკში ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლატვიაში, დამმობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- პოლონეთში, დამმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის



მონაწილეობა;

- თეატრის დღეების ორგანიზება;
- ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;
- 27 სექტემბერი-აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- ფესტივალის „ხაშური – ოქროს შემოდგომა 2017“ ჩატარების ორგანიზება;
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია;
- საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწყობა;
- ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა;
- 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
- დაბა სურამში ფესტივალ „არტ გენის“ ორგანიზება;
- დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია და მედალი;
- სხვადასხვა დონის კულტურული ღონისძიებები;

ბ.ბ. სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული სამი სამუსიკო სკოლა, სადაც სასწავლო პროცესს გადის 464 მოსწავლე. დაგეგმილია აგრეთვე სურამის სამუსიკო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა.

ბ.გ. ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გაძვირების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

ბ.დ. კულტურის ცენტრების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ახალგაზრდობის ქუჩის მავნე ჩვევებისაგან ჩამოშორების, მათი გემოვნების დახვეწისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდის მიზნით განხორციელდება კულტურული ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციას, ფოლკლორის განვითარებას, კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენასა და წახალისებას, თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობას.

ბ.ე. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა. სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით ქვიშხეთში, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია.

ბ.ვ. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის - „ხაშურის მოამბის“ ყოველკვირეული გამოცემის დაფინანსება.

გ. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში ახალგაზრდა თაობის ჩართვის მიზნით დაფინანსდება:

- საჯარო სკოლებს შორის შემოქმედებით-ინტელექტუალური კონკურსის „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებულთა დაჯილდოვება;
- ინტელექტუალური პროგრამების განხორციელება;
- პროექტ „ეტალონში“ მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობა და გამარჯვებულის დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით;
- პროექტ „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები (ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მართლმადიდებელი სირბილში, ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების აქცია);
- 2017 წელს 100%-იანი დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების დაჯილდოვება;
- შშმ პირთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება შშმ ახალგაზრდებისათვის;
- სხვადასხვა ღონის ახალგაზრდული ღონისძიებები;

დ. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხადაჭერა და ტაძრების მიმდებარე ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პრევენციული და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებები ეპიდსაშიშროებისას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება და კონტროლი, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრულ იმუნოპროფილაქტიკისათვის მოწოდებული მასალების მიღების, შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სეზონურად ქუჩების, სკვერების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის მასობრივი დათვალიერების ორგანიზება, ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნაგვის შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე სისტემატური კონტროლის დაწესება, საჭიროების შემთხვევაში დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის სამუშაოთა ორგანიზება.

ბ. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის



ბ.ა. ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ერთჯერადად, წელიწადში 500 ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 ან 100 წელს გადაცილებული ადამიანი;

ბ.ბ. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების უწყვეტი აღზრდისთვის, სასწავლო პროცესისთვის და სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციისთვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით, განსახორციელებელი ღონისძიებები.

ბ.გ. სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა უფასო მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)

მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება სახელოვნებო სკოლებში რეგისტრირებული დევნილის და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეების ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელისაგან განთავისუფლება. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ლტოლვილებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა მოქმედი სარეიტინგო ქულაა 0-დან 70 000-მდე.

ბ.დ. მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება.

ბ.ე. ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, ომში დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავ ყოფის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება: ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან (9 მაისი) დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან (26 მაისი) დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ინვალიდების და ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება, ერთჯერადად, 300 ლარის ოდენობით.

ბ.ვ. საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 06)

საომარი მოქმედების შედეგად დაზარალებული, კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება, საცხოვრებელ შენობებში დერეფნების განათების და წყლის ტუმბოებისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის ღირებულების დაფარვა.

ბ.ზ. სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „სამშობლოს დაცვისას დაღუპულ და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირობების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯებს, თვითოეულზე 250 ლარის ოდენობით.

ბ.თ. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მქონე 185 ბენეფიციარის უფასო კვებითი მომსახურება.



ბ.ი. მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 12)

ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლებში დასაქმებული პედაგოგების სამუშაო ადგილებზე დამაგრების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება სასწავლო პერიოდში.

ბ.კ. მოქალაქეთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთჯერადი დახმარების გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შემდეგ მოქალაქეებზე:

- ქრონიკული (ეპილევსიით, ღვიძლის ციროზით, პარკინსონიზმით, ონკოლოგიურ, დაუნის სინდრომით, ბრონქული ასთმით, ინსულტით, ჰემოფილით) დაავადების მქონე ავადმყოფები;
- ქრონიკული (სქოლიოზით, ცერებრალური დამბლით) დაავადების მქონე ბავშვები /მოზარდები/;
- ენდოკრინოლოგიური დაავადების მქონე ბავშვები /მოზარდები/;
- ფენილკეტონურიით დაავადებული ავადმყოფები;
- მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები /მოზარდები/, რომლებიც დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებენ და საჭიროებენ მომვლელს;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 18 წლამდე (ჩათვლით) ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვები/მოზარდები/;
- სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობა (უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები);
- ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს, ქირურგიულ ჩარევას, ავადმყოფები რომლებიც საჭიროებენ სხივურ და ქიმიოთერაპიულ კურსის თანადაფინანსებას, c-ჰეპატიტით დაავადებულთა კვლევების თანადაფინანსებას, ავადმყოფები რომელთა სამედიცინო მომსახურებაც არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა და ავადმყოფები რომლებიც საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსს;
- აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ხელმოკლე სტუდენტები, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა შვილები;
- ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლის ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს ხანძარმა ან სხვა სტიქიურმა მოვლენებმა არსებითი ზიანი მიაყენა;
- ხაშურის თვითმმართველ ერთეულში მცხოვრები მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) დედები;
- თირკმლის დიალეზზე მყოფი ავადმყოფები;
- შობა-ახალწელთან და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახები, 20 ათასამდე მოქმედი სარეიტინგო ქულით;
- 2016 წლის 1 იანვრიდან განვლილ პერიოდში სასჯელადსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები;
- უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი ბინის ქირით უზრუნველყოფა;

ხანდაზმულთა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ხანდაზმულთა დღის ცენტრი „გვირილას“ ფუნქციონირების ხელშეწყობა.
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 იანვრის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 20.01.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.02.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 მარტის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 21.03.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 აპრილის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 12.04.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.04.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 ივნისის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 07.06.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 22.06.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 04.07.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.07.2017წ.

თავი III

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	მათ შორის		2017 წლის ბაზმა	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხაშურის მუნიციპალიტეტი	13 601.9	16 493.0	3 666.0	12 826.9	17 618.0	5 746.8	11 871.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	164	164	0	164	164	0	164
	ხარჯები	8 699.8	9 025.0	217.7	8 807.3	8 698.9	120.0	8 578.9
	შრომის ანაზღაურება	1 621.1	1 788.3	0.0	1 788.3	1 735.3	0.0	1 735.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 898.9	7 459.2	3 443.0	4 016.1	8 515.6	5 422.8	3 092.8
	ვალდებულებების კლება	3.2	8.8	5.3	3.5	403.4	204.0	199.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 010.5	2 252.7	0.0	2 252.7	2 177.7	0.0	2 177.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	154	154	0	154	154	0	154
	ხარჯები	1 993.2	2 212.3	0.0	2 212.3	2 105.5	0.0	2 105.5
	შრომის ანაზღაურება	1 531.1	1 696.9	0.0	1 696.9	1 652.0	0.0	1 652.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15.8	38.5	0.0	38.5	65.9	0.0	65.9
	ვალდებულებების კლება	1.6	1.8	0.0	1.8	6.3	0.0	6.3



01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	536.1	553.1	0.0	553.1	525.8	0.0	525.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22	22		22	22		22
	ხარჯები	529.7	553.1	0.0	553.1	515.4	0.0	515.4
	შრომის ანაზღაურება	354.0	383.7	0.0	383.7	375.5	0.0	375.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.9	0.0	0.0	0.0	10.4	0.0	10.4
	ვალდებულებების კლება	0.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 473.3	1 697.9	0.0	1 697.9	1 644.054	0.0	1 644.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	132	132		132	132		132
	ხარჯები	1 463.5	1 659.3	0.0	1 659.3	1 583.9	0.0	1 583.9
	შრომის ანაზღაურება	1 177.1	1 313.2	0.0	1 313.2	1 276.5	0.0	1 276.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.9	38.5	0.0	38.5	55.5	0.0	55.5
	ვალდებულებების კლება	0.0	0.1	0.0	0.1	4.7	0.0	4.7
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	6.2	0.0	6.2
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	6.2	0.0	6.2
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1.1	1.7	0.0	1.7	1.6	0.0	1.6
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	1.1	1.7	0.0	1.7	1.6	0.0	1.6
01 05	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული და გამოუყენებელი მიზნიზრები თანხების უკან დაბრუნება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	607.2	179.3	0.0	179.3	130.0	0.0	130.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	10	10	0	10	10	0.0	10
	ხარჯები	607.2	109.6	0.0	109.6	127.0	0.0	127.0
	შრომის ანაზღაურება	90.0	91.4	0.0	91.4	83.3	0.0	83.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	69.6	0.0	69.6	3.0	0.0	3.0



	ვალდებულებების კლება	0.0	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	505.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	505.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	4.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	101.4	179.3	0.0	179.3	130.0	0.0	130.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	10	10		10	10		10
	ხარჯები	101.4	109.6	0.0	109.6	127.0	0.0	127.0
	შრომის ანაზღაურება	86.0	91.4	0.0	91.4	83.3	0.0	83.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	69.6	0.0	69.6	3.0	0.0	3.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 386.3	8 084.0	3 079.7	5 004.3	9 627.9	4 630.8	4 997.1
	ხარჯები	2 443.0	2 644.6	136.6	2 507.9	2 485.7	120.0	2 365.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 943.3	5 432.6	2 937.7	2 494.9	6 975.1	4 492.8	2 482.3
	ვალდებულებების კლება	0.0	6.8	5.3	1.5	167.1	18.0	149.1
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	1 937.7	2 666.5	1 157.6	1 508.9	2 025.9	994.6	1 031.3
	ხარჯები	309.7	440.8	0.0	440.8	330.0	0.0	330.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 628.0	2 225.7	1 157.6	1 068.1	1 618.1	994.6	623.5
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	77.8	0.0	77.8
03 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	1 880.5	2 633.5	1 157.6	1 475.9	1 892.4	994.6	897.8
	ხარჯები	260.4	407.8	0.0	407.8	300.0	0.0	300.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 620.1	2 225.7	1 157.6	1 068.1	1 514.6	994.6	520.0
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	77.8	0.0	77.8
03 01 02	თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების და საგზაო ნიშნების მოწესრიგების ხარჯები	57.1	33.0	0.0	33.0	133.5	0.0	133.5



	ხარჯები	49.3	33.0	0.0	33.0	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.9	0.0	0.0	0.0	103.5	0.0	103.5
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-მენახვა	3 279.7	3 431.9	731.6	2 700.3	3 221.3	758.3	2 463.1
	ხარჯები	1 932.4	1 857.0	136.6	1 720.4	1 846.7	120.0	1 726.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 347.3	1 573.4	595.0	978.4	1 319.3	626.0	693.4
	ვალდებულებების კლება	0.0	1.5	0.0	1.5	55.3	12.3	43.0
03 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	690.0	685.5	0.0	685.5	599.2	0.0	599.2
	ხარჯები	576.3	661.3	0.0	661.3	568.2	0.0	568.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	113.7	24.2	0.0	24.2	4.0	0.0	4.0
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	27.0	0.0	27.0
03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	726.0	1 061.6	0.0	1 061.6	870.0	0.0	870.0
	ხარჯები	726.0	834.2	0.0	834.2	866.0	0.0	866.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	227.4	0.0	227.4	4.0	0.0	4.0
03 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	88.4	152.3	0.0	152.3	83.9	0.0	83.9
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	88.4	152.3	0.0	152.3	83.9	0.0	83.9
03 02 04	სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა	124.2	50.2	0.0	50.2	195.5	195.5	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	124.2	50.2	0.0	50.2	195.5	195.5	0.0
03 02 05	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	121.7	441.4	123.0	318.4	224.5	97.7	126.7
	ხარჯები	31.8	37.6	0.0	37.6	44.8	0.0	44.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90.0	402.3	123.0	279.3	151.3	85.4	65.9



	ვალდებულებების კლება	0.0	1.5	0.0	1.5	28.3	12.3	16.1
03 02 06	მდინარეების, არხების რეაბილიტაციისა და გაწმენდის ღონისძიებები	180.6	122.5	0.0	122.5	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	180.6	122.5	0.0	122.5	0.0	0.0	0.0
03 02 07	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	931.1	717.0	471.9	245.0	880.6	345.0	535.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	931.1	717.0	471.9	245.0	880.6	345.0	535.6
03 02 08	უმეტეაღყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	14.9	48.6	0.0	48.6	63.0	0.0	63.0
	ხარჯები	14.9	48.6	0.0	48.6	63.0	0.0	63.0
03 02 09	ბინათმშენებლობა	402.8	152.9	136.6	16.2	304.7	120.0	184.7
	ხარჯები	402.8	152.9	136.6	16.2	304.7	120.0	184.7
03 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	727.3	858.0	858.0	0.0	319.8	319.8	0.0
	ხარჯები	7.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	719.6	852.6	852.6	0.0	314.1	314.1	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	5.3	5.3	0.0	5.7	5.7	0.0
03 04	კეთილმოწყობის სამუშაოები	441.6	1 127.6	332.5	795.1	4 060.9	2 558.1	1 502.7
	ხარჯები	193.3	346.7	0.0	346.7	309.0	0.0	309.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	248.4	780.9	332.5	448.4	3 723.5	2 558.1	1 165.4
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	28.3	0.0	28.3
03 04 01	დასახლების გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები	143.3	228.6	0.0	228.6	225.0	0.0	225.0
	ხარჯები	143.3	228.6	0.0	228.6	225.0	0.0	225.0
03 04 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია	97.4	202.3	0.0	202.3	411.9	96.0	315.9



	არაფინანსური აქტივების ზრდა	97.4	202.3	0.0	202.3	411.9	96.0	315.9
03 04 03	სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პროექტებისათვის საკადასტრო და აზომვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0		0.0	0.0	0.0
03 04 04	დაბა სურამში რკინის წყლისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	28.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	28.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 04 05	წრომის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	3.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 04 06	ხაშურში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია	0.0	22.4	0.0	22.4	24.8	0.0	24.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	22.4	0.0	22.4	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	24.8	0.0	24.8
03 04 07	მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები	50.0	58.2	0.0	58.2	54.0	0.0	54.0
	ხარჯები	50.0	58.2	0.0	58.2	54.0	0.0	54.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 04 08	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	305.0	0.0	305.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	305.0	0.0	305.0
03 04 09	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები	119.3	176.0	0.0	176.0	348.4	194.4	153.9
	ხარჯები	0.0	5.9	0.0	5.9	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	119.3	170.0	0.0	170.0	347.8	194.4	153.3
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	0.6	0.0	0.6



03 04 10	ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	0.0	386.2	332.5	53.6	2 658.9	2 267.7	391.2
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	386.2	332.5	53.6	2 658.9	2 267.7	391.2
03 04 11	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	0.0	54.0	0.0	54.0	32.9	0.0	32.9
	ხარჯები	0.0	54.0	0.0	54.0	30.0	0.0	30.0
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	2.9	0.0	2.9
04 00	განათლება	1 856.0	2 710.2	514.5	2 195.7	2 711.5	736.0	1 975.6
	ხარჯები	1 127.9	1 292.9	9.2	1 283.7	1 496.9	0.0	1 496.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	728.1	1 417.3	505.3	912.0	1 018.9	550.0	468.9
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	195.8	186.0	9.8
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1 770.8	2 640.9	514.5	2 126.4	2 701.3	736.0	1 965.3
	ხარჯები	1 042.7	1 223.6	9.2	1 214.4	1 486.7	0.0	1 486.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	728.1	1 417.3	505.3	912.0	1 018.9	550.0	468.9
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	195.8	186.0	9.8
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	85.2	69.3	0.0	69.3	10.2	0.0	10.2
	ხარჯები	85.2	69.3	0.0	69.3	10.2	0.0	10.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 563.7	1 831.5	0.0	1 831.5	1 855.4	380.0	1 475.4
	ხარჯები	1 373.2	1 504.2	0.0	1 504.2	1 399.2	0.0	1 399.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	190.4	327.3	0.0	327.3	426.0	380.0	46.0



	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	30.2	0.0	30.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	497.3	608.0	0.0	608.0	482.8	0.0	482.8
	ხარჯები	497.3	608.0	0.0	608.0	482.8	0.0	482.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	218.9	309.5	0.0	309.5	207.9	0.0	207.9
	ხარჯები	218.9	309.5	0.0	309.5	207.9	0.0	207.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	278.4	298.4	0.0	298.4	274.9	0.0	274.9
	ხარჯები	278.4	298.4	0.0	298.4	274.9	0.0	274.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	984.7	1 154.1	0.0	1 154.1	1 304.6	380.0	924.6
	ხარჯები	817.8	832.2	0.0	832.2	848.4	0.0	848.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	166.9	321.9	0.0	321.9	426.0	380.0	46.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	30.2	0.0	30.2
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	105.2	116.8	0.0	116.8	158.3	0.0	158.3
	ხარჯები	105.2	116.8	0.0	116.8	131.1	0.0	131.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	27.1	0.0	27.1
05 02 02	სახელოვნო სკოლების ხელშეწყობა	303.4	259.2	0.0	259.2	193.8	0.0	193.8
	ხარჯები	216.7	188.2	0.0	188.2	173.8	0.0	173.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	86.7	71.0	0.0	71.0	20.0	0.0	20.0
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	148.4	130.0	0.0	130.0	119.3	0.0	119.3



	ხარჯები	124.9	130.0	0.0	130.0	118.5	0.0	118.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	0.839	0.0	0.8
05 02 04	კულტურის ცენტრების ხელშეწყობა	215.1	412.3	0.0	412.3	248.6	0.0	248.6
	ხარჯები	193.6	200.3	0.0	200.3	240.3	0.0	240.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.5	212.0	0.0	212.0	6.0	0.0	6.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	2.2	0.0	2.2
05 02 05	მუზეუმების ხელშეწყობა	188.4	196.1	0.0	196.1	544.9	380.0	164.9
	ხარჯები	153.3	157.2	0.0	157.2	144.9	0.0	144.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35.1	38.9	0.0	38.9	400.0	380.0	20.0
05 02 06	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	24.2	39.7	0.0	39.7	39.7	0.0	39.7
	ხარჯები	24.2	39.7	0.0	39.7	39.7	0.0	39.7
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	9.6	15.8	0.0	15.8	18.0	0.0	18.0
	ხარჯები	8.1	14.2	0.0	14.2	18.0	0.0	18.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.5	1.6	0.0	1.6	0.0	0.0	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	72.1	53.7	0.0	53.7	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	50.0	49.9	0.0	49.9	50.0	0.0	50.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22.1	3.8	0.0	3.8	0.0	0.0	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 178.2	1 435.3	71.9	1 363.4	1 115.4	0.0	1 115.4
	ხარჯები	1 155.3	1 261.4	71.9	1 189.5	1 084.6	0.0	1 084.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.3	173.9	0.0	173.9	26.8	0.0	26.8
	ვალდებულებების კლება	1.6	0.0	0.0	0.0	4.0	0.0	4.0



06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	111.2	275.0	0.0	275.0	125.2	0.0	125.2
	ხარჯები	89.9	101.2	0.0	101.2	95.0	0.0	95.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.3	173.9	0.0	173.9	26.8	0.0	26.8
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	3.4	0.0	3.4
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1 067.0	1 160.2	71.9	1 088.3	990.2	0.0	990.2
	ხარჯები	1 065.4	1 160.2	71.9	1 088.3	989.6	0.0	989.6
	ვალდებულებების კლება	1.6	0.0	0.0	0.0	0.6	0.0	0.6
06 02 01	ასი და მეტი წლის უზუფესთა დახმარების პროგრამა	1.5	2.5	0.0	2.5	2.0	0.0	2.0
	ხარჯები	1.5	2.5	0.0	2.5	2.0	0.0	2.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	28.8	36.2	0.0	36.2	34.0	0.0	34.0
	ხარჯები	28.8	36.2	0.0	36.2	34.0	0.0	34.0
06 02 03	სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა უფასო მომსახურების პროგრამა	21.0	21.4	0.0	21.4	23.0	0.0	23.0
	ხარჯები	21.0	21.4	0.0	21.4	23.0	0.0	23.0
06 02 04	მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	170.3	118.6	1.5	117.1	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	170.3	118.6	1.5	117.1	6.0	0.0	6.0
06 02 05	ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, ომში გაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მემორთა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები	18.2	24.0	0.0	24.0	24.6	0.0	24.6
	ხარჯები	18.2	24.0	0.0	24.0	24.6	0.0	24.6
06 02 06	საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები	18.3	26.5	0.0	26.5	30.2	0.0	30.2
	ხარჯები	18.3	26.5	0.0	26.5	30.0	0.0	30.0



	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	0.2	0.0	0.2
06 02 07	სარიტუალო მომსახურება	5.8	6.5	0.0	6.5	7.0	0.0	7.0
	ხარჯები	5.8	6.5	0.0	6.5	7.0	0.0	7.0
06 02 08	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით დანმარება	0.0	70.4	70.4	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	70.4	70.4	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 09	საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება	2.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	2.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 10	უმწეო მდგომარეობასი მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა	78.9	69.5	0.0	69.5	135.0	0.0	135.0
	ხარჯები	78.9	69.5	0.0	69.5	135.0	0.0	135.0
06 02 11	სოციალურად დაუცველი პირების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 12	მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა	18.0	18.1	0.0	18.1	20.4	0.0	20.4
	ხარჯები	18.0	18.1	0.0	18.1	20.0	0.0	20.0
	ვალდებულებების კლება	0.000	0.0	0.0	0.0	0.4	0.0	0.4
06 02 13	მოქალაქეთა სოციალური დახმარება	704.0	766.5	0.0	766.5	708.0	0.0	708.0
	ხარჯები	702.4	766.5	0.0	766.5	708.0	0.0	708.0
	ვალდებულებების კლება	1.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 იანვრის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 20.01.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.02.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 მარტის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 21.03.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 აპრილის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 12.04.2017წ.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.04.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 ივნისის დადგენილება №12 - ვებგვერდი, 07.06.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 22.06.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 04.07.2017წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.07.2017წ.

